პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲤᲔᲚᲝ

№ 99 (5129)

21 მაისი, სამშაბათი.

1974 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ФЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



ალექსანდრე ბერუაშვილს კარგად იცნობს ყველა, ვისაც შაში ინტერესებს. იგი თბილისის ჩემპიონი იყო 1969, 1970, 1972 და 1973 წლებში, წლეულს კი პირველად მოიპოვა საქართველოში უძლიერესის სახელი. სწორედ ამ წარმატებამ მოუტანა მას სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალის (კალინინგრადი, ოქტომბერი) საგზური.

ნიჭიერი ახალგაზრდა ამ მიღწევებს უმადლის თავის მწვრთნელს, ოსტატ ს. ქახლაჯიანს და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხელმძღვანელებს (ბერუაშვილი ამ ქარხნის 24-ე საამქროში მღებავად მუშაობს).

ა. ბერუაშვილი ოსტატობის კანდიდატია. მწვრთნელის აზრით, იგი უკვე თამაშობს ოსტატის ძალით და კალინინგრადში ამ სპორტული თანრიგის მოპოვებაც შეუძლია.

* * *

სურათზე: ა. ბერუაშვილი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲐ

ᲓᲐᲠᲩᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲣᲠᲘ

საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. გადადებული პარტიების დამთავრება. ა. ბუსლაევი — ე. მიქაელიანი 1:0, მ. ჭიპაშვილი — კ. ჩიგოგიძე 0:1, ზ. ბურჭულაძე — ე. უბილავა (ყველა — თბილისი) 0:1, ჯ. ბერაძე (ყაზლტუბო) — ლ. ნეურონოვი (ბათუმი) 0:1, რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი) — ბერაძე 0,5:0,5.

XVII ტური. გ. ბიბილაშვილი (რუსთავი) — მიქაელიანი 1:0, ჩიგოგიძე — ბუსლაევი 0,5:0,5, ა. ბოკუჩავა — ე. გუფელდი 0,5:0,5, თ. ლომაია (სამივე — თბილისი) — ჯინჯიხაშვილი 0,5:0,5, უბილავა — გ. კალატოზიშვილი 0,5:0,5, გ. ზაიჩიკი (ორივე — თბილისი) — ბურჭულაძე 0,5:0,5, ზ. მიქაძე (თბილისი) — ჭიპაშვილი 1:0, ბერაძე — ა. ტუზოვსკი (სოხუმი) 0:1, ზ. აზმაიფარაშვილი (თბილისი) — ნეურონოვი 0,5:0,5.

პირველობა დამთავრდა. შედეგები ასეთია: I. უბილავა — 14 ქულა, II. გუფელდი — 13, III-IV. ჯინჯიხაშვილი, ბუსლაევი — 10,5-10,5, V. ზაიჩიკი — 9,5, VI. ნეურონოვი — 9, VII-IX. ბოკუჩავა, ტუზოვსკი, მიქაძე — 8,5-8,5, X. აზმაიფარაშვილი — 8, XI-XII. ბერაძე, კალატოზიშვილი — 7,5-7,5, XIII-XIV. ლომაია, ბიბილაშვილი—7-7, XV-XVI. ბურჭულაძე, მიქაელიანი—6,5-6,5, XVII. ჩიგოგიძე — 6, XVIII. ჭიპაშვილი.— 5.

როცა უბილავამ ბურჭულაძეს მწვავე პოზიციაში გადადებული პარტია მოუგო, ნათელი შეიქნა, რომ მეტოქეთაგან მას ვეღარავინ დაეწევოდა. კალატოზიშვილთან 12-სვლიანი ყაიმით უბილავამ I ადგილი მოიპოვა.

საქართველოს ჩემპიონმა, ოსტატმა უბილავამ შესანიშნავად ითამაშა და დაუმარცხებლად განვლო შეჯიბრება. იგრძნობოდა მისი შემოქმედებითი სიმწიფე, მდიდარი შესაძლებლობები. უბილავამ და ბუსლაევმა მიიღეს სსრ კავშირის ვაჟთა 42-ე ჩემპიონატის მასობრივ ტურნირში (ნახევარფინალში) მონაწილეობის უფლება (ეს უფლება გუფელდს მოპოვებული აქვს. ჯინჯიხაშვილი, როგორც ცნობილია, უმაღლეს ლიგაში ითამაშებს). ვეტერანმა ბუსლაევმა საუცხოოდ ითამაშა ფინიშზე: ბოლო ოთხ შეხვედრაში 3,5 ქულა მოაგროვა.

რა თქმა უნდა, მეტი იყო მოსალოდნელი გუფელდისა და ჯინჯიხაშვილისგან. ისინი თანაბრად ვერ თამაშობდნენ. უფრო ხშირად ჯინჯიხაშვილი სცოდავდა.

მოჭადრაკეებმა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, შემოქმედებითი ძიების, კომბინაციური აზროვნებისა და ფსიქოლოგიური ბრძოლის მაგალითები გვიჩვენეს. პირველობის შედეგები და მის მიერ წამოჭრილი პრობლემები ცალკე წერილის თემაა.

* * *

საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. XVII ტური. ნ. ჯანღლავა (ცხაკაია) — მ. წერეთელი 0,5:0,5, ა. ჩაიკოვსკაია — ჭ. გაჩეჩილაძე 1:0, ე. ბაშინურიძე — ლ. ბელოზიოროვა 1:0, ნ. მანველოვა (ყველა — თბილისი) — ნ. ხუბულური (ონი) 0,5:0,5, ე. აპრესოვა (გორი) — ნ. გურიელი (თბილისი) 0:1. ოთხი პარტია გადაიდო.

ლიდერთა ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა, ც. კობაიძე — ც. კახაბრიშვილის (ორივე — თბილისი) პარტია ხუთსაათიანი, შეუპოვარი თამაშის შემდეგ გადაიდო. თ. ხუგაშვილმაც (თბილისი) გადადო პარტია თანაქალაქელ მ. ვაჩეიშვილთან. მხოლოდ ჩაიკოვსკაიამ აიღო ქულა. წერეთელი ვერ მოერია ჯანღლავას დაცვას. გურიელმა გაიმარჯვა და ლიდერებს მიუახლოვდა.

XVIII ტური. გურიელი — ჭ. გეგიძე (თბილისი) 0,5:0,5, ბელოზიოროვა — აპრესოვა 1:0, კახაბრიშვილი — მანველოვა 1:0, წერეთელი — კობაიძე 0,5:0,5, მ. მამასთვალოვა (თბილისი) — ჯანღლავა 1:0. სამი პარტია გადაიდო.

18 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ჩაიკოვსკაია — 13 ქულა და 1 გადადებული პარტია, კობაიძე — 12,5 (2), კახაბრიშვილი — 12,5 (1), წერეთელი — 12, ხუგაშვილი — 11 (3), ბაშინურიძე — 11 (1), გურიელი — 11.

წერეთელმა და კობაიძემ ინგლისური დაწყება თეორიის უკანასკნელი მოთხოვნების შესაბამისად გითამაშეს. წერეთელმა აქტიური თამაში დასაწყისშივე გაიჩაღა. კობაიძემ, იერიშის პირველი ტალღა რომ მოიგერია, მერე თავად წამოიწყო შეტევა მეფის ფრთაზე. პოზიცია გათანაბრდა. დაფაზე ჯერ კიდევ თითქმის ყველა ფიგურა იყო, მეტოქეებმა ბედის ცდუნებას დაზავება რომ ამჯობინეს.

კახაბრიშვილმა 38 სვლაში სძლია მანველოვას.

მწვავედ წარიმართა იოსელიან — ჩაიკოვსკაიას შეხვედრა. პარტია ენდშპილში გადადიო ოსტატის პატარა უპირატესობით.

გადადებული პარტიების დამთავრება სიცხადეს შეიტანს ჩემპიონის ვინაობის საკითხში, 21 მაისს კი პირველობის დასკვნითი, XIX ტური ეწყობა.

თ. ნინოშვილი.



ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲠᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘ

ქუთაისში თითქმის ერთ კვირას გაგრძელდა საქართველოს რეგბისტთა ჩემპიონატი, რომელშიც ასპარეზობდა სამი ქალაქის ექვსი გუნდი: საკავშირო პირველობის მონაწილე კოლექტივები — თბილისის „ლოკომოტივი“ და „განთიადი“ (ეს უკანასკნელი საკავშირო პირველობაში თბილისის „დინამოს“ ადგილს დაიკავებს), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, ქუთაისის „განთიადი“ და „ლოკომოტივი“, ბათუმის „განთიადი“.

როგორც ხედავთ, სპორტის ამ შედარებით ახალმა სახეობამ ფეხი მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში მოიკიდა. რეგბის განვითარებას ჩვენში ყველა სპორტსაზოგადოება, უწყება და უმაღლესი სასწავლებელი ერთნაირი ყურადღებით როდი ეკიდება: არ ზრუნავენ გუნდების შექმნისთვის, მოქმედ კოლექტივებს სათანადო ხელშეწყობა არა აქვთ, თორემ რესპუბლიკურ ჩემპიონატში ექვსს კი არა, გაცილებით მეტ გუნდს უნდა მიეღო მონაწილეობა.

სანამ საქართველოში რეგბი უფრო მასობრივი არ გახდება, გუნდების რიცხვი არ იმატებს და სპორტსმენთა ტექნიკურ-ფიზიკური მომზადების დონე არ ამაღლდება, საკავშირო სარბიელზე თვალსაჩინო წარმატების იმედი არ უნდა გვქონდეს.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, სსრ კავშირის რეგბისტები წლევანდელიდან დიდ საერთაშორისო სარბიელზე გადიან. საბჭოთა ნაკრები სხვა ქვეყნების კოლექტივებთან მატჩებს გამართავს არა საკლუბო გუნდების, არამედ უფრო მაღალ დონეზე. ნაკრების კანდიდატები ძირითადად საკავშირო ჩემპიონატმა უნდა შეარჩიოს.

ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა (თავმჯდომარე ლ. ახვლედიანი) და შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ნ. კაჭარავამ იზრუნეს, რომ ჩემპიონატი საინტერესოდ, მაღალ დონეზე ჩატარებულიყო.

კოლექტივები თავდაპირველად ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. მსაჯთა კოლეგიამ თბილისის „ლოკომოტივი“ და „განთიადი“ ქვეჯგუფებში წინასწარ ცალ-ცალკე განთავსა, სხვა გუნდები კი წილისყრით გაანაწილა. ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი ფინალში ერომანეთის ჩემპიონობისთვის უნდა შეჯიბრებოდნენ, დანარჩენი კოლექტივები სხვა ადგილებისთვის წრიული სისტემით აგრძელებდნენ ტურნირს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეჯგუფში თბილისის „ლოკომოტივმა“ ორივე მეტოქე დაამარცხა: ქუთაისის „განთიადს“ მოუგო ანგარიშით 28:8, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს — 32:3, თბილისის „განთიადმა“ სძლია ქუთაისის „ლოკომოტივს“ (26:6) და ბათუმის „განთიადს“ (56:8).

ბათუმის კოლექტივი უფრო დიდი ანგარიშით (3:58) დამარცხდა ქუთაისის „ლოკომოტივთან“ (ეს ჩემპიონატის სარეკორდო ანგარიშია).

ამრიგად, ჩემპიონობის სახელისთვის ერთმანეთის პირისპირ დადგნენ დედაქალაქის გუნდები „ლოკომოტივი“ და „განთიადი“. მოსალოდნელი იყო, რომ რესპუბლიკის ამ ორი წამყვანი კოლექტივის ორთაბრძოლა საინტერესო და დაძაბული იქნებოდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. „განთიადმა“ შეხვედრა საუცხოოდ ჩაატარა და იოლად სძლია ძლიერ მეტოქეს — 22:4. რეკორდული მონდომება რატომღაც არ იგრძნობოდა.

III ადგილი მოიპოვა ქუთაისის „განთიადმა“.

ძ. ძიმისტარიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

1945

◆ მინსკი, 20 მაისი. ტყვიის მსროლელთა დღეს აქ დამთავრებული საერთაშორისო შეჯიბრების პროგრამის დასკვნითს სახეობაში ყველას აჯობა მსოფლიო რეკორდსმენმა, მოსკოველმა გ. კოსიხმა. რთულ პირობებში (ძლიერ ქარსა და ცივ ამინდში) მან ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტის 50 მეტრზე სროლაში 560 ქულა დააგროვა. ამ ტრადიციულ საგაზაფხულო ტურნირში, რომელშიც 11 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, სტუმართაგან მხოლოდ ბულგარელმა ვ. კოსევმა შეძლო I ადგილის დაკავება (მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა შეჯიბრებაში).

◆ ცურუბა (ფუკუის პრეფექტურა), 20 მაისი. საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა იაპონიაში თავისი ტურნეს მეორე მატჩი დღეს აქ გამართა. სტუმრებმა ანგარიშით 3:0 (15:7, 15:7, 15:10) დაამარცხეს მასპინძელი ქვეყნის ნაკრები.

◆ კადუა, 20 მაისი. იტალიის ამ ქალაქში გაიმართა ესპადრონისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. I ადგილი და პრიზი — „ტროფეო ლიუკსარდო“ — მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, მინსკელმა ვ. სიდიაკმა მოიგო. II ადგილზეა მსოფლიოს 1971 წლის ჩემპიონი, იტალიელი მოფარიკავე მ. მაფეი.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲒᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ

რუმინეთის ქალაქ ბრაშოვში მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო სპადრაკო ტურნირი, რომელშიც 13 წლის თბილისელი ოსტატი მ. ჩიბურდანიძეც მონაწილეობს.

შეჯიბრებაში მონაწილეობს ბულგარეთის, უნგრეთის, ჰოლანდიის, გფრ-ის, სსრ კავშირისა და რუმინეთის 13 წარმომადგენელი, რომელთა შორის 6 საერთაშორისო ოსტატია.

მონაწილეებმა უკვე განვლეს დიხტანციის ნახევარი (7 ტური), რომლის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ჩიბურდანიძე. მან 5 შეხვედრა მოიგო და ორი დაუმთავრებელი აქვს.

ნორჩ მოჭადრაკესთან ერთად რუმინეთში გაემგზავრნენ დედამისი და მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი მ. შიშოვი.



ᲒᲝᲠᲔᲚᲝᲕᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲐ

W·B·P 27·COURSE DE LA PAIX 1974

რᲑᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲔᲢᲐ�პᲘᲐ

ამას წინათ კიშინიოვში ჩატარდა „შრომითი რეზერვების“ ძიუდოისტთა საკავშირო პირადი პირველობა, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს რუსთავის № 16 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა დ. ნავაძემ (70 კგ) და ზ. შუკოვანმა (80 კგ). ისინი I ადგილებზე გავიდნენ.

III საპრიზო ადგილი ხვდა რუსთაველ სპორტსმენს მ. ჩაჩანიძეს.

* * *

სურათზე: „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები ზ. შუკოვანი (მარცხნივ) და დ. ნავაძე.

რ. გაბრიელიძის ტექსტი და ფოტო.

ხოკოლოვი, 19 მაისი. მშვიდობის XXVII ველორბოლის XI ეტაპზე (კარლ-მარქს-შტადტი — სოკოლოვი, 171 კმ) მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ნ. გორელოვმა დაუღალავ, ენერგიულ მებრძოლად გამოიჩინა თავი. სტარტიდან 7 კილომეტრის შემდეგ იგი ს. შოზდას (პოლონეთი), ფ. სკუერის (ჰოლანდია), მ. გრაზდირას (ჩეხოსლოვაკია), დ. გონშორეკისა (გდრ) და კიდევ ხუთი მრბოლელის „კომპანიაში“ მძლავრი ბიძგით დაწინაურდა. ამ გუნდმა ძალიან მაღალი ტემპი განავითარა და სულ უფრო ბევრად მოსწყდა დანარჩენებს. პირველი საშუალედო ეტაპის ფინიშთან, გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვრის მახლობლად მდებარე ელსნიცში, გორელოვი ყველაზე ადრე მიიჭრა.

მაგრამ უკვე მეორე საშუალედო ფინიშთან ჭებში (ჩეხოსლოვაკია) პირველი შოზდა იყო. მან მტკიცედ იგდო ხელთ რბოლის სადავეები, 171 კმ (ველორბოლის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით ეტაპი 7 კილომეტრით დაგრძელეს) ყველაზე სწრაფად დაფარა და ადგილობრივი სტადიონის ბილიკზე ფინიშის ხაზი ისეთ ეულად გადაკვეთა, სიხარულით ხელებაწეულმა. ამრიგად, შოზდამ ზედიზედ მესამე ეტაპი მოიგო. გამარჯვებულის დროა 4:16.45 (ბონიფიკაციის ჩათვლით). მეორე იყო სკუერი — 4:16.55, ხოლო მესამე — გორელოვი — 4:17.05.

მრბოლელთა დიდ ჯგუფში, რომლის წევრებსაც ერთნაირი დრო (4:23.31) ჩაეთვალათ, იყო ტარტუელი ა. პიკუუსი.

გუნდურ ჩათვლაში ეტაპი პოლონელებმა მოიგეს — 13:03.52. II ადგილი საბჭოთა ნაკრებმა დაიკავა — 13:04.12.

საშუალო სისწრაფემ ეტაპზე 39,8 კმ შეადგინა საათში, გაცილებით მეტი, ვინემ წინა ეტაპებზე.

სამი დასკვნითი ეტაპის (აქედან ორი სამთოა, ბოლო კი ბარში გადის) წინ პირად ჩათვლაში ლიდერობს შოზდა — 31:12.30. II ადგილზეა გონშორეკი (31:13.32), III — გორელოვი (31:13.54). პიკუუსი VII ადგილზეა — 31:20.03.

ლიდერთა ცისფერი მაისურები კვლავ პოლონელ ველოსიპედისტებს აცვიათ. მათი დროა 93:51.16. II ადგილზეა საბჭოთა ნაკრები (93:54.15), III — გდ-ის გუნდი (93:54.21).

რეიდი თბილისის სპორტულ ბაზებზე

მოუვლელი სტადიონები

ხსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებამ დღის წესრიგში უფრო აქტიურად დააყენა საზაფხულო სეზონისთვის ლია სპორტული ბაზების მზადყოფნის საკითხი. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის პროფსაბჭოს, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილება სპორტულ ნაგებობათა კეთილმოწყობის ერთთვიურის ჩატარების შესახებ სწორედ ამ ამოცანის შესრულებას ისახავდა მიზნად.

ერთთვიური კარგა ხანია დამთავრდა. როგორ შეხვდნენ თბილისის სტადიონები ზაფხულის სეზონს, მზად არიან თუ არა ისინი სპორტსმენთა მისაღებად? ეს აინტერესებდა „ლელოს“ სარეიდო ბრიგადას, როცა თბილისის სპორტკლუბების „ივერიის“, „განთიადის“, „სინათლის“, აგრეთვე, „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვების“, ლენინის სახელობის, ასკ-ს, მედმუშაკთა, ლენინის რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის სტადიონების დათვალიერება გადაწყვიტა.

პირდაპირ ვიტყვით: მდგომარეობა საბანბაშია.

„ლოკომოტივის“, ლენინის სახელობის, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ სპორტკლუბ „ივერიის“, ლენინის რაიონის მოსწავლეთა, აგრეთვე, მედმუშაკთა სტადიონების ცენტრალურ ბირთვს სავარჯიშოდ დითქოს არა უშავთ. მაგალითად, „ლოკომოტივის“ და ლენინის სახელობის სტადიონებზე მძლეოსნები და ფეხბურთელები ხშირად ატარებენ საწვრთნელ მეცადინეობებს, „ივერიის“ სტადიონი უოველდღიურად დილიდან საღამომდე ფეხბურთელთა განკარგულებაშია, მაგრამ გასაკეთებელი ამ ბაზებზეც ძალიან ბევრი რამაა.

„ლოკომოტივის“ სტადიონის საწყობებში ყველა სახის ინვენტარს საკმაო რაოდენობით ვერ ნახავთ, გასახდელში და საშხაპეში მძლეოსნებს... არ უშვებენ. „ივერიის“ სტადიონზე სათავსოების რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. როგორც ამ სტადიონის დირექტორმა, საქართველოს სხრ დამსახურებულმა მწვრთნელმა რ. მამაჯანოვმა გვითხრა, მალე ბაზას კეთილმოწყობილი გასახდელები, ექიმის, მწვრთნელთა, მსაჯთა ოთახები და რადიოკვანძი ექნება. საქმის წარმატებას ისიც განაპირობებს, რომ მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი რ. კუპრავა უურადღებას არ აკლებს ფიზკულტურელებს.

მაგრამ წვრთნისთვის ასე თუ ისე გამოსადეგ ბაზებს ერთი საერთო ნაკლი მაინც აქვთ: არ ივრძნობა ზრუნვა ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდისთვის, იშვიათად შეხვდებით მშდ კომპლექსის, რეკორდების, სათანრთგო ნორმატივების ცხრილებს, ლოზუნგებს, მოწოდებებს, რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენებისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენებს, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ამსახველ სქემებს.

რესპუბლიკის დედაქალაქის მთავარ სტადიონსაც კი ამ მხრივ ბევრი რამ აკლია, მაგრამ იმან, რაც დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „განთიადისა“ და ყოფილ ტრანსკავკასიის ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტკლუბ „სინათლის“ სტადიონებზე ვნახეთ, მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

დიმიტროველებს უზრუნველობას ვერ დავწამებთ. ამ ქარხნის სტადიონი მარტო 26 კომისრის რაიონში კი არა, მთელს თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. აქ ხშირად გამართულა რესპუბლიკური შეჯიბრებები ფეხბურთში, მძლეოსნობაში, რეგბიში. მერე, როცა სტადიონი შესაკეთებელი გახდა, ქარხნის დირექციას უკან არ დაუხევია.

სტადიონის რემონტი საქართველოს სპორტკომიტეტის სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ ითავა და საქმე უფროს სამუშაოთა მწარმოებელ ნ. ჯობავას მიანდო. მას შემდეგ წელიწადზე მეტია, მაგრამ სარემონტო სამუშაოები სანახევროდაც არაა გაკეთებული.

ახლა სამუშაოს რ. სიხარულიძე ხელმძღვანელობს. როგორც მან გვითხრა, მშენებლობის დღევანდელი ტემპით ბაზის ექსპლოატაციოდ გადაცემა შემოდგომამდე არ მოხერხდება. იმის გამო, რომ მასალები არ ჰყოფნით, სარბენი ბილიკების, ტყორცნისა და ხტომის სექტორების, ტრიბუნების გაკეთება და სტადიონის მთლიანად შემოღობვა ალბათ დიდხანს გაჭიანურდება. არადა, სტადიონი, რომელსაც ექნება ფეხბურთის მინდორი, ხელბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნური ბაზა, გასახდელი, საშხაპე, ტრიბუნები, რომლებიც თითქმის ათი ათას კაცს დაიტევს, შესანიშნავ ბაზად იქცევა. იგი მწყობრში დროულად უნდა ჩადგეს. თბილისისა და საქართველოს ნაკრების წევრებზე, რომ არაფერი ვთქვათ, ამ სტადიონის ირგვლივ მდებარე რამდენიმე დიდი საწარმოს ათასობით მუშა-მოსამსახურეს სავარჯიშოდ და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად სხვა ბაზა არა აქვს.

მარცხენა ხამი სურათი დიმიტროველთა სტადიონზეა გადაღებული. აბა დახედეთ პირველ სურათს —განა ეს სარბენი ბილიკია? ძალიან გულდასმითაც რომ დაუკვირდეთ, განა იცნობთ ტრიბუნებს (მეორე სურათი) ან კალათბურთის მოედანს (მესამე სურათი)?!

სამუშაოთა მწარმოებელმა და სტადიონის დირექციამ მშენებლობის გაჭიანურება რამდენიმე მიზეზით ახსნეს: სამშენებლო სამმართველოს ბაკურიანიდან მექანიზმები ვერ გადმოაქვს, თბილმშენის მე-8 ტრესტის საწარმოო კონსტრუქციების კომბინატი ცუდად გვამარაგებსო...

ვერ შევედავებით. შეიძლება ცამდე მართალნიც არიან, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. დიმიტროვის სახელობის ქარხნისა და სხვა მეზობელი საწარმოების ფიზკულტურელებს, საქართველოს ნაკრების წევრებს მიზეზების ახსნა კი არა, მზა სპორტული ბაზა სჭირდებათ.

შემდეგ გეზი „შრომითი რეზერვების“ სტადიონისკენ ავიღეთ. ამ საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ კარგი საქმე დაიწყო: სტადიონის გვერდით კომპლექსური სპორტული დარბაზები შენდება. ამან სტადიონის ნაწილი შეიწირა. მაგრამ როგორც გვითხრეს, ორიოდე წლის მერე დარბაზების მშენებლობაც მთავრდება და სტადიონიც აღდგება.

„სინათლის“ სტადიონზე ტრიბუნები დანგრეულია, მინდორი, სარბენი ბილიკები, სექტორები, გასახდელები და საშხაპეები — კაპიტალურად შესაკეთებელი. ბაზა იმდენად ავარიულ მდგომარეობაშია, რომ იქ საწვრთნელი მეცადინეობის ჩატარება პირდაპირ დანაშაულია. სტადიონის კედლები ალაგ-ალაგ დანგრეულია, ირგვლივ ანტისანიტარია მეფობს. სტადიონის დირექციამ ლენინის რაიონის სანეპიდსადგურს ამ საკითხის გამო რამდენიმეჯერ მიმართა, მაგრამ საკითხი დღემდე ვერ გადაწყდა.

ქვედა სურათები „სინათლის“ სტადიონზეა გადაღებული. ბიჭები ყოფილი ტრიბუნების ადგილზე ჩამომსხდარან და უყურებენ თანატოლ ფეხბურთელებს, რომლებიც ვ. ირემაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ. სტადიონის კედლებში ასეთი გასაძრომებიც მრავლადაა (ბოლო სურათი). როგორც სტადიონის კომენდანტმა ნ. სხირტლაძემ გვითხრა, ქალაქის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობამ (იგი ახლახანს შეიქმნა და სტადიონიც მის განკარგულებაში გადავიდა) გადაწყვიტა სტადიონი მშრომელთა ჯანმრთელობის კერად აქციოს და რემონტი მალე დაიწყებთ.

ვნახოთ, ჭერჭერობით კი საქმეს ხასიათი პირი არ უჩანს. ამ სტადიონის დათვალიერების მერე გასაკვირი არ არის, „სინათლის“ სპორტსმენებმა კარგი ტრადიციები რომ დაკარგეს.

„ლელოს“ ბრიგადა.











ქრონიკული ბიბლიოთეკა

საამღერებელ სწრაფქანით

— გურჯაანი

მოეწყო „განთიადის“ რაისაბჭოს პირველობა კალათბურთში. I ადგილი გურჯაანის სოფლშენის № 4 ტრესტის გუნდმა დაიკავა.

ბ. ხირბილაშვილი.

„ლელოს“ ფურცლიდან-ჩვენ ეჯერჯერობით

„გადახნული მინდორი“

ამ სათაურით „ლელოს“ 6 მარტს ნომერში დაიბეჭდა რ. პატარიძის წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თერჯოლის რაიონის სოფელ სიქთარვის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ფეხბურთის მინდორი გადახნეს.

„კოლმეურნის“ თერჯოლის რაისაბჭოს თავმჯდომარე ნ. ფანჩულიძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ამბავი სინამდვილეს შეეფერება. მინდორი 1971 წელს გადაუხნავთ. კოლმეურნეობის გამგეობამ იმსჯელა ახალგაზრდობის თხოვნის შესახებ და გამოყო ადგილი სპორტული მოედნისთვის, სადაც უკვე ეწყობა შეჯიბრებები.

ხეხლის ხაგმე — მოსწავლეები

საჩხერის რაიონის ბავშვთა სპორტსკოლამ მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გამართა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში.

გუნდური I ადგილი დაიკავა ქორეთის საშუალო სკოლის ნაკრებმა. II და III ადგილები გაიყვეს გორისისა და საირხის საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა.

პირად ასპარეზობაში ჭაბუკთა შორის ყველას აჯობა ჭალის საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. ჭოტაძემ. გოგონათა შორის გაიმარჯვა მ. გამგებელმა (საირხე).

ა. ანასაშვილი.

(ჩვენი კორ.).

საჩხერე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა



17 მაისს გაპართული მორიგი შეხვედრები ასე დამთავრდა:

„ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ბაკირი" (დუშანბე) 1:0, „კუზბასი" (კემეროვო) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 2:1, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 1:0, „ზვეზდა" (პერმი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 3:1, „დინამო" (მინსკი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:1, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — ახკ (დონის როსტოვი) 0:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 0:0, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 3:1, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნეფთჩი" (ბაქო)	8	6	1	1	9—2	13
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	8	5	2	1	11—4	12
ახკ (დონის როსტოვი)	7	5	1	1	12—4	11
„დინამო" (მინსკი)	8	5	1	2	13—8	11
„კუზბასი" (კემეროვო)	8	5	1	2	10—9	11
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	8	5	0	3	13—6	10
„ტავრია" (სიმფეროპოლი)	7	4	2	1	10—3	10
„ზვეზდა" (პერმი)	8	4	1	3	11—10	9
„შინიკი" (იაროსლავლი)	8	3	3	2	8—8	9
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	8	3	2	3	6—9	8
„სპარტაკი" (ნალჩიკი)	7	2	3	2	4—4	7
„ტორპედო" (ქუთაისი)	8	3	1	4	9—11	7
„სბროიტელი" (აშხაბადი)	8	2	1	5	7—10	5
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	7	2	1	4	10—14	5
„მეტალურგი" (ლიპეცკი)	7	1	3	3	6—10	5
„სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი)	7	1	2	4	5—6	4
„პამირი" (დუშანბე)	8	1	2	5	6—12	4
„ყუბანი" (კრასნოდარი)	7	1	2	4	8—15	4
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	8	0	4	4	6—13	4
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე)	7	1	1	5	7—13	3

მზადების პროგრამით

პარიზი, 19 მაისი. დღეს ადგილობრივი „პარკ დე პრენსის" სტადიონზე გამართული ამხანაგური მატჩი ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და არგენტინის ნაკრები გუნდები. არგენტინელებისთვის ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის მზადების კიდევ ერთი თამაში, ფრანგები კი ევროპის პირველობის შესარჩევი შეხვედრებისთვის ემზადებიან (მანამდე მათ ფრედ ითამაშეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან — 3:3).

ყოველივე ამან განსაზღვრა კიდევ მწვრთნელთა გეგმები: წმინდა ტაქტიკური ამოცანების გარდა, მათ თითქმის მოლიანად ამოწურეს მოთამაშეთა შეცვლის ლიმიტი.

კარგად იცავდა არგენტინელთა კარს „ესპანელი" (იგი „ლას-პალმასში" თამაშობს) კარნევალი. ნაკრებში, როგორც იცით, დაბრუნეს გამოცდილი მცველი, 32 წლის პერფუმო. მან გაამართა კიდეც მწვრთნელის იმედები. მათს გარდა არგენტინელთაგან მინდორზე გამოვიდნენ ბრინდიზი, სკეო, ბარგასი, ბლარი, სანი და სხვ.

ფრანგების მწვრთნელმა ს. კოვაჩმა თავისი გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: ბარატელი, კაპელინი, ბრაკი, მარშალიე (ჟოდარი), ადამი, გიიუ, მოლიტორი, ჰიუკი, ლიაკომბი (ლიუბე), ბერეტა, სარამანია.

ერთადერთი გოლი 22-ე წუთზე კარგი კომბინაციის შემდეგ (მართალია, ფრანგი მცველის დახმარებით) გაიტანა არგენტინელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კემპესმა.

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა ბრიტანეთის ტრადიციული ჩემპიონატი. ამ შეჯიბრებაში ყოველწლიურად მონაწილეობს ბრიტანეთის ოთხივე გუნდი (ინგლისი, შოტლანდია, უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია).

წლევანდელი ტურნირი ასე წარიმართა:

პირველი მატჩები ზუსტად ათი დღის წინათ, 11 მაისს გაიმართა. იმ დღეს ინგლისის ნაკრებმა კარდიფში მასპინძელს, უელსის ნაკრებს მოუგო — 2:0. ანგარიში გახსნა ბაულზმა, შემდეგ კი კიგანმა მეორე გოლი გაიტანა მეტოქის კარში. ეს ინგლისელების პირველი მატჩი იყო, რომელიც მათ ახალი მწვრთნელის ჯო მერსერის ხელმძღვანელობით ჩაატარეს.

შოტლანდიის ნაკრებმა თავის მინდორზე გლასგოში მოულოდნელად წააგო ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდთან — 0:1. მატჩის ბედი კასიდის მიერ 39-ე წუთზე გატანილმა გოლმა გადაწყვიტა.

მეორე ტურში შოტლანდიელებმა სძლიეს უელსელებს — 2:0. გოლები დალგლიშმა და ჟარდინმა გაიტანეს.

ტურის მეორე მატჩი ლონდონის „უემბლის" სტადიონზე გაიმართა. ინგლისის ეროვნულმა გუნდმა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს უმასპინძლა. საკმაო ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, ინგლისელებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს სტუმართა კარის აღება. გოლი გაიტანა ნაკრების დებიუტანტმა, „ლესტერ სიტის" ნახევარმცველმა უელერმა 67-ე წუთზე.

უკანასკნელი, მესამე ტურის გადამწყვეტ მატჩში შოტლანდიელებმა გლასგოს „ჰემდენ პარკის" მინდორზე დაამარცხეს ინგლისელები (2:0) და ბრიტანეთის ჩემპიონობა მოიპოვეს.

უელსის ნაკრებმა სძლია ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს — 1:0.

გთავაზობთ ტურნირის საბოლოო ცხრილს:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შოტლანდია	3	2	0	1	4:1	4
ინგლისი	3	2	0	1	3:2	4
უელსი	3	1	0	2	1:4	2
ჩრდ. ირლანდია	3	1	0	2	1:2	2

(საკ. ინფ.).

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲙᲕᲘᲓᲠᲓᲔᲡ

თბილისის მოსწავლეთა XXX სპარტაკიადა

თბილისის განათლების განყოფილებამ კარგი საქმე გააკეთა, როცა მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით ზოგიერთ სახეობაში რაიონების სკოლების ტურნირებში გამარჯვებული გუნდების შეჯიბრებაც ჩაატარა. თუ ეს თაოსნობა დამკვიდრდება, სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები, ფიზაღზრდის მასწავლებლები ძალაუნებურად ყველა სახეობის განვითარებისთვის იზრუნებენ. თავის მხრივ, ეს ჩამორჩენილი სახეობების განვითარებას შეუწყობს ხელს.

კარგად იყო დაგეგმილი მძლეოსანთა ასპარეზობა. აქ პროგრამაში პიონერული ოთხჭიდიც იყო შეტანილი. ისე რომ, შეჯიბრების მიღმა სკოლების არც ერთი ნიჭიერი სპორტსმენი არ დარჩენილა.

„ლოკომოტივის" სტადიონის ხექტორები და ბილიკები თავდაპირველად რაიონების ნაკრებ გუნდებს დაეთმოთ.

სპეციალისტების აზრით, მაჩვენებლები ურიგო არ იყო, ზოგიერთ სახეობაში ბრძოლას სიმწვავეც არ აკლდა. მაგალითად, სიმაღლეზე მხტომელ ჭაბუკთა შეჯიბრებაში ვ. ნოზაძემ (ლენინის რაიონი), გ. ტიტარჩუკმა (26 კომისრის რაიონი), ა. სვანიძემ (კალინინის რაიონი) და გ. სავჩენკომ (1 მაისის რაიონი) ერთნაირი სიმაღლე — 190 სმ დაძლიეს და ადგილებიც ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს. 200 მეტრზე რბენაში მეორე თანრიგის ნორმატივი (ჩათვლას მესამე თანრიგის შედეგიც იძლეოდა) ექვსმა მონაწილემ შეასრულა. ს. კრასნოკუბსკიმ (საქარხნო რაიონი) ვ. ხახვიაშვილს (კიროვის რაიონი) ფინიშზე მკერდით მიასწრო. ორივეს დროა 22,5. გ. ბაღაშვილი (ლენინის რაიონი) გამარჯვებულებს 0,1 წამით ჩამორჩა, სამაგიეროდ, 100 მეტრზე რბენაში იმარჯვა და პირველი თანრიგის ნორმატივიც შეასრულა — 11,0. 800 მეტრზე კარგად ირბინა ა. ნეკრასოვმა (ორჯონიკიძის რაიონი) — 1.57,4.

ბადროს ტყორცნაში ორჯერ გაიმარჯვა 156-ე სკოლის X კლასის მოსწავლემ თ. ოდიშვილმა (საქარხნო რაიონი), რომელსაც ბიძა ომარ ოდიშვილი ავარჯიშებს. ამ ჭაბუკმა ნორმალური წონის ბადრო 42,18 მეტრზე ტყორცნა და გაიმარჯვა. შემდეგ მანვე 1,5-კილოგრამიანი ბადროს ტყორცნაში უმცროსი ასაკის ბიჭების რესპუბლიკური რეკორდი გაუმჯობესა — 50,30.

ჭერც სპრინტერ გოგონებს დავიმდურებით. ნ. ჭოლოძემ (1 მაისის რაიონი) 100 მეტრი 12,7 წამში გარბინა, ლ. დარახველიძე (ოქტომბრის რაიონი) და ტ. ეროხინა (ორჯონიკიძის რაიონი) კი მას 0,2 წამით ჩამორჩნენ. 200 მეტრზე რბენაში დარახველიძისა (26,7) და ე. კონდიუკოვას (ორჯონიკიძის რაიონი — 26,9) ბრძოლა პირველის გამარჯვებით დამთავრდა.

ყველა რაიონმა ვერ შეძლო სრული გუნდების გამოყვანა. მაგალითად, 5000 მეტრზე რბენაში სულ ორი მძლეოსანი (ორივე საქარხნო რაიონიდან) ასპარეზობდა, 110 მეტრზე თარჯრბენში, 2000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, ბადროს ტყორცნაში, 100 მეტრზე თარჯრბენსა და 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში — სამ-სამი. 400 მეტრზე თარჯრბენსა და 4×400 მეტრზე ესტაფეტაში ვ. მაჩაბელი (საქარხნო რაიონი) და საქარხნო რაიონის ჭაბუკთა კვარტეტი მარტო წამმზომებს ებრძოდნენ.

საქარხნო რაიონის ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაში საგრძნობლად დაწინაურდა, მაგრამ ბოლო სახეობაში — ათჭიდში მასაც ხელი მოეცარა. გაიმარჯვა ლენინის რაიონის გუნდის წევრმა ს. ტურუკინმა, რომელმაც თავის კოლექტივს პირველობა მოაპოვებინა — 15189 ქულა. II ადგილზეა საქარხნო რაიონის გუნდი — 14355. III ადგილი დაიკავეს ორჯონიკიძის რაიონის მძლეოსნებმა — 9078.

გამარჯვებული სკოლების გუნდები ორ ასაკობრივ ჯგუფად ასპარეზობდნენ. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: საშუალო ასაკი. ჭაბუკები. 35-ე, 128-ე და 127-ე სკოლები; გოგონები. 108-ე, 128-ე და 103-ე სკოლები. უფროსი ასაკი. ჭაბუკები. 52-ე, 108-ე და 127-ე სკოლები; გოგონები. 52-ე, 96-ე და 65-ე სკოლები.

პიონერულ ოთხჭიდში (შეჯიბრება ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა) გაიმარჯვა 143-ე სკოლის ნაკრებმა. II ადგილზეა 108-ე სკოლის გუნდი, III — 37-ე სკოლის კოლექტივი.

პირად პირველობაში უძლიერესნი აღმოჩნდნენ: გოგონებში — ნ. შტემპელი (35-ე სკოლა) — 236 ქულა, ბიჭებში — ბ. აფაქიძე (143-ე სკოლა) — 255 ქულა. აფაქიძეს 5 ქულით აჯობა უკონკურსოდ მოასპარეზე ს. ბეჟაშვილმა (№ 1 სპორტსკოლა-ინტერნატი).

ო. ივლოშვილი.

* * *

სურათებზე: 200 მეტრზე რბენაში შეჯიბრების პრიზიორი ჭაბუკები ფინიშს უახლოვდებიან; 4×100 მეტრზე გოგონათა ესტაფეტაში გამარჯვებული გუნდის წევრები მეორე ეტაპზე ესტაფეტის გადაცემისას.

ო. გელაშვილის ფოტოები.

სპორტული გოლნისი

დიდი ინტერესი გამოიწვია რაიონის პირად-გუნდურმა პირველობამ ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში 6 გუნდის 100-ზე მეტი ათლეტი მონაწილეობდა. გუნდური პირველობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილი ხვდათ ბავშვთა სპორტსკოლის, III — ქვემო ბოლნისის კოლმეურნეობის წარმომადგენლებს.

ჩემპიონობა მოიპოვეს: გ. გოჩაროვმა, გ. იაშვილმა, კ. ბრეგვაძემ, ფ. რეხვიაშვილმა (ყველა — სპორტსკოლა), ზ. გოგინაშვილმა, ჯ. გულბანმა, გ. მარგველანმა, გ. მახნიაშვილმა (ყველა — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი).

* * *

ჩატარდა რაიონის აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 9 უძლიერესი მოჭიდავე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბავშვთა სპორტსკოლის წარმომადგენლები ფ. რეხვიაშვილი და კ. ბრეგვაძე. გაიმარჯვა რეხვიაშვილმა.

* * *

სულხან-საბას სახელობის კულტურის სახლში დამთავრდა რაიონის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობა, რომელშიც 12 კაცი მონაწილეობდა. I ადგილზე გავიდა გეოლოგიური პარტიის ინჟინერ-გეოლოგი ა. გომეჯიშვილი, II — კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული წრის მასწავლებელი მ. ჯოგონიძე, III — სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი აგრონომი ლ. დევნოზაშვილი.

* * *

17 მოშაშის მონაწილეობით გაიმართა რაიონის ვაჟთა პირველობა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ვ. ნაიბოვმა (არახლოს საბჭოთა მეურნეობა).

* * *

თავისუფალ ჭიდაობაში რაიონის სკოლებისა და ბავშვთა სპორტსკოლის პირველობაში 100-ზე მეტი ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრების მიზანი იყო რაიონის ნაკრების წევრთა შერჩევა. ეს გუნდი ივნისში საქართველოს მოსწავლეთა VI სპარტაკიადაში მიიღებს მონაწილეობას.

ი. იმერლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲯᲝᲒᲔᲡ

გორის საგაზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის, სპორტსკოლის, „დინამოს" და სხვა ორგანიზაციათა ნაკრები გუნდები.

სპორტსკოლელებმა პირველობა არავის დაუთმეს. II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს მომავალმა პედაგოგებმა და დინამოელებმა.

პირად ასპარეზობაში თავი ისახელა გ. აბაზაშვილმა (სპორტსკოლა). II და III ადგილებიც მის თანაგუნდელებს გ. კორაევს და ვ. დვალს ხვდათ. გოგონებში ყველას აჯობა სტუდენტმა ვ. შავშიშვილმა.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

საბჭოთა მოკრივეებმა 17 მაისს კიდევ ერთხელ დაამარცხეს აშშ-ს ნაკრები, ამჯერად ანგარიშით 4:2 (შეჯიბრება ექვს წონითს კატეგორიაში ჩატარდა).

აი, როგორ ჩაიარა ორთაბრძოლებმა: ერევნელმა ა. ავეტისიანმა მოუგო უ. ბერის (57 კგ-მდე), ტაშკენტელმა ვ. იუდინმა — ა. ფლეტჩერს (67 კგ-მდე). მძიმე წონაში ევროპის ჩემპიონმა, როსტოველმა ვ. ულიანინმა ე. ჩემპვლს სძლია. სამივე შეხვედრა მასპინძლებმა ჭულებით მოიგეს. მეორე საბჭოთა მძიმეწონოსანმა ი. ვისოცკემ (მაგადანი) პირველ რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო კ. სტივენსი.

სტუმართაგან წარმატებას მიაღწიეს ა. ჭრაიერმა (60 კგ-მდე) და ვ. ჯონსონმა (75 კგ-მდე). მათ შესაბამისად დაამარცხეს ვ. ხოლმინი (პერმი) და გ. ტოლმაჩოვი (ნარვა).

შეხვედრა გაიმართა კისლოვოდსკის სტადიონზე მოწყობილ რინგზე. დღეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეები ალმა-ათაში შეხვდებიან ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია“ იბრძვის, იმარჯვებს

სსრ კავშირის პირველობა მოტოციკლეტებში

შაბათს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა მოტობურთში „ბ“ კლასის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი: თბილისის „ივერიამ“ აშხაბადის ავტო-მოტო კლუბის გუნდს უმასპინძლა.

სტუმრებმა კარგად იცოდნენ, რომ მასპინძლები მათს კოლექტივზე გაცილებით ძლიერნი არიან. ამიტომ მათ თავიდანვე მიზნად დაისახეს საკუთარი კარის მისადგომების უვნებელყოფა და კონტრშეტევებით წარმატების მოპოვება.

ოთხივე პერიოდის 80 წუთის მანძილზე „ივერიის“ უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ ბურთი აშხაბადელთა საჯარიმო მოედანს თითქმის არ მოშორებია. სტუმრებმა იერიშზე გადასვლა რამდენიმეჯერ მოახერხეს, კარს კი სახიფათოდ მხოლოდ ორჯერ შეუტიეს და ორივეჯერ ამაოდ.

თბილისელებმა აშხაბადელთა მოტოციკლეტებითა და მოთამაშეებით აგებული სიმაგრის გარღვევა დიდხანს ვერ მოახერხეს. სტუმრებს კარის მისადგომების დაცვაში წინა ღამის წვიმის შედეგად ატალახებული საჯარიმო მოედანიც ეხმარებოდათ.

მოტოციკლზე ამხედრებული სპორტსმენისგან საკმაოდ დიდი ზომის ბურთის ტარება თავისებურ ოსტატობას მოითხოვს. ამ ტექნიკურ ილეთს განსაკუთრებით კარგად ასრულებდნენ ნ. შონია და ლ. ნარიკაშვილი. ისინი მეტოქეებს ოსტატურად უვლიდნენ გვერდს, კარგად გადიოდნენ დერეფანში, კარში ურტყამდნენ ან ბურთს პარტნიორებს აწვდიდნენ, სასურველი გოლი კი არა და არ ჩანდა. მრავალრიცხოვანი იერიშებიდან პ. ეფიმენკომ, როგორც იქნა, ერთი გოლით დააგვირგვინა.



მესამე პერიოდში, როცა მეტოქეებმა კარები შეცვალეს, თბილისელთა უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახდა. ჯერ ვ. ტურაშვილმა, შემდეგ კი ნ. შონიამ, ორივეჯერ ლ. ნარიკაშვილის მიწოდებით, აშხაბადელთა კარი კიდევ ორჯერ აიღეს.

მეოთხე პერიოდში „ივერიამ“ კიდევ 2 გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯებმა არც ერთი არ ჩათვალეს (ორივე ბურთი მეკარის საჯარიმო მოედანზე შესვლის მერე იყო დარტყმული).

„ივერიამ“ გაიმარჯვა — 3:0. ახლა თბილისელებს სამი თამაშიდან 4 ქულა აქვთ (ბურთების შეფარდება 6:2).

„ივერია“ მორიგ შეხვედრას ბაქოში გამართავს ადგილობრივ „ხაზრისთან“.

რ. მაღრაძე.

• • •

სურათზე: თბილისელთა შეტევის მომენტი. ეფიმენკოს (№ 3) მიერ დარტყმული ბურთი კარის ბადეში აღმოჩნდა.

ო. გელაშვილის ფოტო.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲬᲐᲒᲔᲑᲐ

18 მაისს ტაშკენტში დაიწყო უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის III ტური. კვლავ წარუმატებლად თამაშობს თბილისის „ბურევესტნიკი“, როგორც ორი შეხვედრა წააგო: ჯერ ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდთან — 19:20 (11:11), ხოლო შემდეგ — მოსკოვის „კუნცევოსთან“ — 24:26 (10:13).

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: პირველი დღე. ცსკა — ასკ (კიევი) 22:29 (10:9), საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — „კუნცევო“ 34:22 (16:10), „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (ტაშკენტი) 24:20 (12:13); მეორე დღე. ასკ — „ალუმინსტროი“ 27:24 (15:14), მეტალურგიული ინსტიტუტი — ცსკა 17:17 (7:9), საავიაციო ინსტიტუტი — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი 33:21 (17:11).

მდგომარეობა 16 ტურის შემდეგ:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საავიაციო ინსტ.	14	0	2	456:369	28
„კუნცევო“	11	1	4	375:358	23
ცსკა	10	2	4	380:329	22
მეტალურგ. ინსტ.	7	3	6	350:331	17
ასკ	7	3	6	351:340	17
„ალუმინსტროი“	5	1	10	337:379	11
„ბურევესტნიკი“	3	0	13	351:404	6
ფიზკ. ინსტიტუტის სპორტკლუბი	2	0	14	323:413	4

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲘ-74

● *მეხიკო, 17 მაისი.* სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრების მეტოქეები მსოფლიო ჩემპიონატის (მექსიკა, 12-28 ოქტომბერი) წინასწარ ქვეჯგუფში გდრ-ის, ჰოლანდიისა და დომინიკის რესპუბლიკის გუნდები იქნებიან. ასე გადაწყვიტა კენჭისყრამ, რომელიც გუშინ მექსიკის დედაქალაქში მოეწყო. ქალთა ჩემპიონატის პარალელურად, იმავე ვადებში, მექსიკის ექვს ქალაქში ჩატარდება ვაჟთა მსოფლიო პირველობაც. საბჭოთა ფრენბურთელებთან ერთად წინასწარ ქვეჯგუფში იასპარეზებენ პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტის ნაკრები გუნდები.

● **ნაგოია, 19 მაისი.** სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა იაპონიაში ტურნე ამ ქალაქში გამართული მატჩით დაიწყო. სტუმრებმა მწვავე ბრძოლაში სძლიეს მასპინძელი ქვეყნის ნაკრებს — 3:2 (7:15, 6:15, 15:6, 17:15, 15:10).

● **სოფია,** 19 მაისი. **ᲚᲘᲣᲢᲕᲘᲐᲜ ᲛᲝᲚᲝᲕᲐᲛ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲓᲐᲐᲛᲧᲐᲠᲐ ᲨᲣᲑᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡᲐᲨᲘ — 81,80 მ. ᲔᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲐ ᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ.**

● **რიგა,** 19 მაისი. ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დღეს აქ ანგარიშით 88:54 (42:17) დამარცხა ლატვიის ეროვნული გუნდი.

● **პოტსდამი, 19 მაისი. სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იუნიორ მძლეოსანთა ამასწინანდელ მატჩში გამარჯვებულმა, ევროპის ჩემპიონმა, 17 წლის ილონა შოკნეხტმა ბირთვის კვრაში იუნიორთა მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 17,24 მ.**

● ლისაბონი, *19 მაისი.* „ბენფიკის“ სტადიონზე ტარტანის ახალი ბილიკის დაგებასთან დაკავშირებით გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ავსტრალიელმა რელენ ბოილმა *200 მ 22,6 წამში* გაირბინა. ფინიშთან მეორე იყო ანდრეა ლინჩი (დიდი ბრიტანეთი) — *23,1.* ასევეთვე შედეგი ჰქონდა III ადგილზე გასულ სილვან ტელიეზს (საფრანგეთი). ლინჩმა მოიგო *100 მეტრზე* რბენა — *10,9. 100 მეტრზე* თარჯრმენში გაიმარჯვა ინგლისელმა ჯუდი ვერნონმა — *12,9 წამი.* ყველა ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

● **ბეიკერსფილდი** (აშშ), **19 მაისი.** 200 მეტრზე რბენაში მსოფლიო „თანარეკორდსმენმა“, იამაიკელმა სპრინტერმა დონ ქეორომ ადგილობრივ სტადიონზე 220 იარდი 20,3 წამში გაირბინა. 200 მეტრის აღნიშვნის ადგილზე მისი დრო 20,1 წამი იყო, ასე სწრაფად კი ეს მანძილი წლეულს დედამიწის ზურგზე არავის გაურბენია. ჯონ პაუელმა (აშშ) 63,72 მეტრზე ტყორცნა ბადრო.

მსოფლიო ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲨᲘ

✓ ᲣᲙᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘᲐ ᲯᲝᲜ ᲜᲘᲣᲙᲝᲛᲑᲘ

„ლელოს“ წინა ნომერში ვწერდით პროფესიულ ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრების შესახებ. ამ დღეებში დალასში (აშშ, ტეხასის შტატი) ეს შეჯიბრება დამთავრდა.

ჯერ გავაცნობთ ნახევარფინალების შედეგებს. ავსტრალიელმა ჯონ ნიუკომბმა მოუგო მასპინძელ სტენ სმითს — 6:1, 3:6, 7:6, 6:2, ხოლო შვედმა ბიორნ ბორგმა დაამარცხა იან კოდეში (ჩეხოსლოვაკია) — 4:6, 6:4, 6:3, 6:2. 17 წლის შვედი ჩოგბურთელის ფინალში გასვლა მის უდიდეს ნიჭზე მეტყველებს. მიმმხილველები აღნიშნავენ, რომ იგი ძალიან ლამაზად და მრავალფეროვნად თამაშობს.

მაგრამ ფინალურ მატჩში მაინც გამოცდილებამ იმარჯვა. ნიუკომბმა დაამარცხა ბორგი (4:6 6:3, 6:3, 6:2) და მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა (მარშან და შარშანწინ ეს წოდება ნიუკომბის თანამემამულემ კენ როზუოლმა მოიხვეჭა).

ᲑᲣᲠᲫᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲣᲢᲔᲕᲡ... ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲡ

„სათხილამურო სპორტის კრიზისი“, „კალათბურთის კრიზისი“, „ფეხბურთის კრიზისი“, „ჩოგბურთის კრიზისი“, „შეპიღბული პროფესიონალები“, „მოთამაშეთა უკანონო გადასვლა-გადმოსვლა“... ბოლო ხანებში საფრანგეთის გაზეთების ფურცლებზე ძალიან ხშირად იბეჭდება წერილები ასეთი სათაურებით. სპეციალისტთა აზრით, მიზეზი ისაა, რომ ბიზნესი ძალიან დრმად შეიჭრა საფრანგეთის სამოყვარულო სპორტში.

„ოქროს კერპის“ გავლენა თანდათან ზრდის საშიშროებასო, — წერს ყოველკვირეული „ჟურნალ დიუ დიმანში“ და იქვე სვამს შეკითხვას: შეიძლება თუ არა ამ პროცესის განვითარებას ხელი შევუშალოთო?

ამ თემაზე ყოველკვირეულის ფურცლებზე გამოვიდნენ საფრანგეთის სხვადასხვა გაზეთის სპორტული მიმომხილველები.

დომინიკ ფრანზა წერს, რომ აქმოსნები აამოთმოთხილამურეთა მოსაყიდად იყენებენ წლიურ კონტრაქტებს, გამარჯვებულებისთვის დაწესებულ სპეციალურ პრემიებს. ქვეყნის ნაკრების წევრები მოგების წყურვილმა შეიპყრო. მათ სათხილამურო სპორტში თავიანთი „კანონების“ კარნახი დაიწყეს. ასეთებს ებრძვიან, მაგრამ წარმატება ჯერ კიდევ ძალიან შორსაა.

მეორე მიმომხილველი კლოდ ლაბერი აანალიზებს კალათბურთში შექმნილ მდგომარეობას. საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რობერ ბიუნელმა ათი წლის წინათ ნებადართულად გამოაცხადა გუნდებში პროფესიულ მოთამაშეთა შეყვანა. თავიდან ამას კონტროლს უწევდნენ: ყოველ გუნდს ჯერ ერთი უცხოელი მოთამაშის მიღება შეეძლო, მერე — ორისა... დარბაზებში მაყურებელთა რიცხვმა იმატა. ბიუნელმა თითქოს მიზანს მიაღწია. მაგრამ აი, რას წერს ლამბერი: „წარმატებამ თავბრუ დაასვია კალათბურთელებს, განსაკუთრებით კი — მათს ხელმძღვანელებს: სპორტის ამ სახეობაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ყალბმა მოყვარულობამ“, ბევრ კლუბში სკანდალის საშიშროება შეიქმნა.

საფრანგეთის კალათბურთი ბიზნესის სარბიელად იქცა. რაღა გასაკვირია, რომ კალათბურთის კლუბებმა „საქმიანი კომპანიების“ სახე მიიღეს? თვით ბიუნელიც კი იძულებული გახდა ეთქვა ეს სიტყვები: „უნდა დავუბრუნდეთ უფრო ჯანსაღ პრაქტიკას. ახლა ჩვენ მოლიპულ გზაზე ვდგავართ“. ლამბერი კი ასეთ კომენტარს უკეთებს ბიუნელის განცხადებას: „ფულით მოწამლულ და დათრგუნვილ სპორტში ძალიან ძნელია ცუდი ჩვევებისგან გათავისუფლება“.

„დოლარის ჩოგნები“ — ასეთი სათაური აქვს ჟან კუვერსელის წერილს, რომელშიც ავტორი ჩოგბურთის პრობლემებზე ლაპარაკობს. ორგანიზაცია „უორლდ ტენის ტიმმა“ ზღაპრული კონტრაქტები შესთავაზა მრავალი ქვეყნის სპორტსმენებს და სურს ჩაატაროს თავისი ჩემპიონატი, ოღონდ... შეერთებულ შტატებში. „ამგვარად, დოლარ-ჩოგბურთს შეუძლია ჩოგბურთი სიცოცხლეს გამოასაღმოს“, — წერს კუვერსელი. სახიფათოა პროფესიულ მოთამაშეთა ტურნირების ორგანიზაცია, რომლებიც საცირკო წარმოდგენის ხასიათს ატარებენ. „ჩოგბურთის მომავალი ბურუსითაა მოცული. მაყურებლები დიდხანს არ მოითმენენ სპორტისა და სპექტაკლის ერთმანეთში არევას“, — წინასწარმეტყველებს კუვერსელი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვოლოსპორტი საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასეობაა. ამ ქვეყანაში ტარდება ასობით სხვადასხვა რბოლა არა მარტო პროფესიონალებისთვის, არამედ მოყვარულებისთვისაც. ყველაზე ძლიერი მოყვარული ველოსიპედისტები „კლუბ ფრანსეზ“ შედიან. დაახლოებით სამოცი არიან. მათ მეთაურობს ოლიმპიური ჩემპიონი დანიელ მორელონი. ისინი დახმარებას ღებულობენ თავიანთი კლუბებისგან ან მუნიციპალიტეტებისგან. მათთვის არც კომერციული ფირმების დოტაციებია აკრძალული. სამოყვარულო რბოლებში პრემიები და პრიზები ზოგჯერ პროფესიონალთა ჯილდოებსაც აღემატება (ეს იმ მიზნით კეთდება, რომ სამოყვარულო კლუბებში სპორტსმენები შეინარჩუნონ).

როგორც მიშელ კოსტესი წერს, მოყვარულთა რბოლების მახლობლად ტრიალებენ „ნამდვილი მაფიები“, რომლებიც ცდილობენ გააყალბონ მეჯიბრეობაც და მისი შედეგებიც, რათა პრიზები და პრემიები ჩაიგდონ ხელში.

პროფესიულ ველოსპორტში კი კომერციული ფირმები მტკიცედ დაეპატრონენ რბოლებს რეკლამისთვის გაცემული სპეციალური ჯილდოების წყალობით. ისინი მხოლოდ „საერთაშორისო სარბიელზე აღიარებულ ავტორიტეტებს“ იწვევენ და შეეხებულად ამცირებენ რბოლების მონაწილეთა რიცხვს, რათა შეჯიბრების ნაცვლად სპექტაკლების გამართვა უფრო გაუადვილდეთ.

„საბოლოო ჯამში — ხაზგასმით აღნიშნავს კოსტესი, — მთელი საფრანგეთის ველოსპორტის მომავალს საფრთხე ემუქრება“.

ფრანგულ ფეხბურთში პროფესიონალიზმს ათიული წლების ისტორია აქვს. 1932 წელს ჩატარდა ქვეყნის პირველი ჩემპიონატი პროფესიონალთა გუნდებს შორის. მას შემდეგ ერთსა და იმავე ფედერაციაში იძულებით თავსდება ბუნებით სრულიად სხვადასხვა სამოყვარულო და პროფესიული ფეხბურთი. 50-ან წლებში პროფესიულ კლუბებში შეიცვალა წესი, რომლის თანახმადაც მოთამაშე კლუბს ვერ დატოვებდა, სანამ 34 წლის არ გახდებოდა. ეს წესი შეცვალა „დროებითმა კონტრაქტმა“. მყისვე გაიზარდა კარგი მოთამაშეების „აქციები“, გაჩნდნენ მეცენატები და გზა გაეხსნა საქმოსნობას. ახლა მოთამაშეთა გადაბირება ასტრონომიულ თანხებთანაა დაკავშირებული.

ასეთი მდგომარეობა არც „გარეშე პირებს“ გამოეპარათ. გფრ-ის ერთერთმა უძლიერესმა ფეხბურთელმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა: „ფრანგ ფეხბურთელებს მსოფლიოში ყველაზე მეტ ფულს უხდიან... თუ გასამრჯელოს მათს შედეგიანობას შევადარებთ“.

სპორტის მთელ რიგ სახეობებში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ანალიზით მიმომხილველებს გამოჰყავთ საერთო დასკვნა: ავადმყოფობას ძალიან ღრმად გაუდგამს ფესვები. მდგომარეობას გამოასწორებს მხოლოდ ეროვნული და საერთაშორისო ფედერაციების აქტიური ჩარევა.

მაგრამ არსებობს კი წამალი ფულის გამხრწნელი ძალის წინააღმდეგ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერს სწორედ ფული წყვეტს?

ი. ბაბაიანცი.

პარიზი. (სპ. ლენინის კორ.).



ᲕᲐᲟᲔᲑᲡᲐᲪ ᲙᲘ ✓ ᲨᲔᲨᲣᲠᲓᲔᲑᲐᲗ

ჩვენი გაზეთის 15 მაისის ნომერში ვიუწყებოდით, რომ სამმა იაპონელმა მთამსვლელმა ქალმა დაიპყრო ჰიმალაის მთიანეთში მდებარე მწვერვალი მანასლუ. ახლა უფრო დაწვრილებით გიამბობთ ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შესახებ.

XX საუკუნის დასაწყისიდან 2500 მთამსვლელს აქვს მიღებული მონაწილეობა ჰიმალაიზე მოწყობილ ექსპედიციებში, მაგრამ მათგან მხოლოდ 112-მა (ვაჟებმა) შეძლო ეგრეთ წოდებულ „რვაათასიანებზე“ ასვლა. პირველად ეს 1950 წელს მოხდა, როცა დაპყრობილ იქნა მთა ანაპურნა.

ახლა ვაჟებს „სუსტი სქესის“ სამი წარმომადგენელიც დაემატა. ესენი არიან იაპონიის ქალაქ კიოტოს მცხოვრებნი მიეკო მორი, მასაკო უჩიდა (ორივე 33 წლისაა) და 24 წლის ნაოკო კურიმაში. მათ დაიპყრეს მანასლუს პიკი (8126 მ) ნეპალში. ასვლისას დაიღუპა 30 წლის ტეიკო სუძუკი.

... მთამსვლელი ქალები უკვე თითქმის თხუთმეტი წელია უტევენ მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალებს, მაგრამ ყველა ცდა წარუმატებელი იყო. და აი, ახლა იაპონელებმა მიაღწიეს წარმატებას, რომელიც ყველაზე გამოცდილ მთამსვლელ ვაჟებსაც კი შეშურდებათ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 86448

ხაჭართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 533